**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

---

# ბატონიშვილი

ბატონიშვილი, სიუზერენის შვილი ფეოდალურ საქართველოში.

ძირითადად იხმარებოდა უმაღლესი სიუზერენის, მეფის, აგრეთვე მთავრის შვილების აღსანიშნავად. სხვა მებატონეთა შვილები იწოდებოდნენ თავადიშვილებად, აზნაურიშვილებად, ერისთვისშვილებად და ა. შ. ტერმინ „ბ-ის“ გაჩენამდე და შემდეგ მის პარალელურად იხმარებოდა ტერმინი უფლისწული. ფეოდ. საქართველოში ბ-ს გამოყოფილი ჰქონდა მამული, რ-იც საბატონიშვილოდ, საუფლისწულოდ იწოდებოდა.

საქართველოს რუსეთის იმპერიასთან შეერთების (1801) შემდეგ ბ-ების დიდი ნაწილი რუსეთში გაასახლეს, მამულები მისცეს და ჯამაგირიც დაუნიშნეს. ასე მოისპო ქართ. ფეოდ. საზ-ბის უმაღლესი ფენა ბ-ებისა. XIX ს-ში ბ-ად იწოდებოდნენ საერთოდ ფეოდალების შვილები – თავადების და ზოგჯერ აზნაურებისაც კი.

***შ. ხანთაძე***

---